ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მანანა ჩიხლაძის ანგარიში

2025 წლიდან ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს გამოცხადებული ნდობისთვის.

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 9 კომისიის სხდომა, ჩვენი კომისია განიხილავს ჯანდავისა და სოციალურ პროგრამებს. კომისია აქტიურად არის ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში.

ამასთანავე, ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის ფინანსურ და საბიუჯეტო საკითხთა განხილვის პროცესში. კომისისას ჩატარებული აქვს 10 სხდომა და განხილული გვაქვს 28 საკითხი.

კომისია რომელსაც მე ვხელმძღვანელობ საქმიანობის მთავარი მიმართულება გახლდათ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და იმ გადაწყვეტილებებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის, სოციალური დაცულობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

ანგარიში ბევრ პროგრამას, ციფრსა და სტატისტიკურ მონაცემს მოიცავს, თუმცა დღეს შევეცდები ყურადღება გავამახვილო ძირითად შედეგებსა და იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც ჩვენი მოქალაქეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
პირველ რიგში, რამდენიმე ციფრი, რომელიც კარგად გვიჩვენებს ამ სფეროს მასშტაბს.

2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში თავდაპირველად დამტკიცდა 28 სოციალური და ჯანდაცვითი ქვეპროგრამა, რომელთა საერთო ბიუჯეტი 9 324 800 ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაფინანსება გაიზარდა და დღეის მდგომარეობით 10 899 400 ლარს შეადგენს.

ვფიქრობ, ეს ზრდა ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებს ჩვენი ქალაქის საქმიანობაში.

კომისია მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული როგორც საბიუჯეტო პროცესში, ისე მიმდინარე პროგრამების მონიტორინგში. რეგულარულად ვისმენდით მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ინფორმაციას და განვიხილავდით არსებულ საჭიროებებს.

მოქალაქეთა მოთხოვნის მასშტაბზე ერთი მონაცემიც კარგად მეტყველებს — 22 სექტემბრის მდგომარეობით, სოციალურ საკითხთა სამსახურში მიღებული იყო 10 471 წერილი, განცხადება და მომართვა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 8 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა 9 საკითხი. ქვორუმის არარსებობის გამო არც ერთი სხდომა არ გადადებულა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები ჩვენი კომისიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია „სამედიცინო დახმარების“ ქვეპროგრამა, რომლის ბიუჯეტი 2 მილიონ ლარს შეადგენს. 22 სექტემბრის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში დახარჯულია 1 693 532 ლარი და დახმარებით ისარგებლა 3 327 ბენეფიციარმა.

პროგრამა მოქალაქეთა ფართო წრეს მოიცავს — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მარტოხელა და მრავალშვილიან მშობლებსა და მათ შვილებს, მცირეწლოვან ბავშვებს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, პენსიონერებს, მარჩენალდაკარგულ პირებს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს და სხვა შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ავთვისებიანი სიმსივნის მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერა.

ამ კატეგორიის ბენეფიციარებს ქირურგიული, თერაპიული და დიაგნოსტიკური მომსახურება მრავალჯერადი მომართვის საფუძველზე უფინანსდებათ შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ბავშვების მხარდაჭერა. (0-დან 18 წლამდე ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვები ყოველთვიურად 200 ლარი) მატერიალური დახმარებით 31 ბენეფიციარმა ისარგებლა.

(გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევაში წლიური ჯამური ლიმიტი 1 000 ლარია, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირებისთვის — 2 000 ლარი.)

მნიშვნელოვანია ასევე მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა — დახმარებით 406 ბენეფიციარმა ისარგებლა.

მუნიციპალიტეტი მიზნობრივად ეხმარება ქრონიკული და სპეციალური სამედიცინო საჭიროებების მქონე მოქალაქეებსაც — მათ შორის ეპილეფსიით (ანტიკონვულსანტები- ბიუჯეტი-15 000 ლარი, ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირებს -ბიუჯეტი- 180 000 ლარი,)

„შინმოვლის“ პროგრამით მომსახურება მიიღო 152 ბენეფიციარმა („უძლურების შეფასების ბართელის კითხვარი“ კატეგორიების მიხედვით: 660-540-360), ხოლო პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამით — 63 ბავშვმა.(ბიუჯეტი- 70 000 ლარი, ჯანსაღი კვების ხელშეწყობა)

ცალკე მინდა გამოვყო ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების მხარდაჭერა.
პროგრამის ბიუჯეტი 240 ათასი ლარია და დახმარებით 126 ბენეფიციარი სარგებლობს. მუნიციპალიტეტი მათ ყოველთვიურად 200 ლარით ეხმარება სამედიცინო დაწესებულებაში რეგულარული ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დასაფარად.

ჩვენი კომისიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მხარდაჭერა.
2026 წელს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2 მილიონ 535 ათას ლარს შეადგენს. 22 სექტემბრის მდგომარეობით დახარჯულია 1 მილიონ 629 ათას 710 ლარი და მომსახურებით სარგებლობს 520 ბავშვი.
ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრამაზე საუბრისას ყურადღება გავამახვილოთ არა მხოლოდ დაფინანსებასა და ბენეფიციართა რაოდენობაზე, არამედ მომსახურების ხარისხსა და უწყვეტობაზე, თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მათი ფუნქციური უნარების განვითარებასა და ოჯახის მხარდაჭერაზე.
ამიტომ პროგრამის მიმდინარეობა და სერვისების ხელმისაწვდომობა მომავალშიც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი იქნება.

ასევე პრიორიტეტულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტირება.
პროგრამის ბიუჯეტი 217 ათას 900 ლარს შეადგენს და მომსახურებით 32 ბენეფიციარმა ისარგებლა.
ჩვენთვის პერსონალური ასისტირება მხოლოდ ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილება არ არის — ეს არის დამოუკიდებელი ცხოვრების, სოციალური ჩართულობისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმი.

- განსაკუთრებით მინდა გამოვყო „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამა, რომელიც კრიზისულ მდგომარეობაში ან სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ მოქალაქეებსა და ოჯახებს ეხმარება. (ბიუჯეტი 400 ათასი ლარია და დახმარებით 267 ბენეფიციარმა ისარგებლა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულება.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციული მიდგომების გაძლიერება, რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების დროული გამოვლენა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სოციალური მუშაობა.

(2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე შესაბამის განყოფილებაში მიღებული იქნა 138 განცხადება და შეფასდა 278 ბავშვი. „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის ფარგლებში შეფასდა 135 ბავშვი, ხოლო სოციალური მუშაკები ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმების საფუძველზე მონიტორინგს ახორციელებენ 46 ბავშვთან.)

ცალკე მინდა აღვნიშნო ჩვენი კომისიის გასვლითი სხდომა №4 მუნიციპალურ პოლიკლინიკაში.
ადგილზე გავეცანით დაწესებულების საქმიანობას, მოვისმინეთ ანგარიში, ვისაუბრეთ მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.
განსაკუთრებით სასიხარულოა ის პროგრესი, რომელსაც დღეს ამ დაწესებულებაში ვხედავთ. პოლიკლინიკამ წარმატებით გაიარა ISO 9001-ის სერტიფიცირება და დღეს უკვე ემზადება ISO 15189-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შესაბამისი აკრედიტაციისთვის.
ყველას კარგად გვახსოვს, საიდან დაიწყო ამ დაწესებულებამ და სად არის დღეს. ვფიქრობ, ეს არის თანმიმდევრული მუშაობის, სწორი მენეჯმენტის, პროფესიული გუნდის ძალისხმევისა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის კარგი მაგალითი.

ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის მერიას, პოლიკლინიკის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ჩალაძეს, და დაწესებულების თითოეულ თანამშრომელს გაწეული შრომისა და პასუხისმგებლობისთვის.

ჩვენი კომისიის საქმიანობა მხოლოდ პროგრამებისა და ანგარიშების განხილვით არ შემოიფარგლება.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პატივისცემა და მადლიერება გამოვხატეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში დასაქმებული ქალბატონების მიმართ — ადამიანების მიმართ, რომლებიც ყოველდღიურად, ხშირად ურთულეს პირობებში, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობითა და თავდადებით ემსახურებიან ჩვენს მოქალაქეებს.

ძვირფასო კოლეგებო,

თუ შევაჯამებთ საანგარიშო წელს, ჩვენი კომისიისთვის კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოციალურად მოწყვლადი, ქრონიკული და მძიმე დაავადებების მქონე მოქალაქეებისთვის;

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე საუბრისას თითოეული ციფრის უკან დავინახოთ კონკრეტული ადამიანი — ბავშვი, ხანდაზმული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მძიმე დაავადებასთან მებრძოლი მოქალაქე, ოჯახი, რომელსაც კონკრეტულ მომენტში ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება.

საბოლოოდ, ჩვენი საქმიანობის მთავარი საზომიც სწორედ ეს უნდა იყოს — არა მხოლოდ რამდენი პროგრამა განვახორციელეთ და რამდენი თანხა დაიხარჯა, არამედ რამდენ ადამიანს შევუმსუბუქეთ პრობლემა, რამდენ ბავშვს შევუქმენით განვითარების უკეთესი შესაძლებლობა და რამდენ ოჯახს დავუდექით გვერდით.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოსა და ჩვენი კომისიის წევრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

მადლობა ქალაქის მერს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებისადმი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

და განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელობასა და თითოეულ თანამშრომელს. შესრულებული სამუშაოს მოცულობა, პროგრამების მრავალფეროვნება და ბენეფიციართა ფართო წრე კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ეს არის ერთ-ერთი

გამორჩეული სამსახური თავისი პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობითა და მოქალაქეთა საჭიროებებისადმი დამოკიდებულებით.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მზად არის მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რადგან, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობებისა, ჩვენი საერთო მიზანი ერთია — ქალაქში მცხოვრები თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის, სოციალური დაცულობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

ჯანდაცვისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

მანანა ჩიხლაძის ანგარიში